ბინარული ნარევისაგან შედგენილი დამრეცი სფერული გარსების განტოლებათა სისტემის ზოგადი ამოხსნის შესახებ

რ. ჯანჯღავა

ი. ვეკუას მეთოდით ბინარული იზოტროპული ნარევისგან შედგენილი დამრეცი გარსებისთვის მიღებულია განტოლებათა სისტემა ნებისმიერ მრუდწირულ კოორდინატთა სისტემაში. $N = 0$ მიახლოების შესაბამისი განტოლებები ჩაწერილია კომპლექსური სახით იზომეტრული საკოორდინატო სისტემის მიმართ. დამრეცი და ძლიერად დამრეცი სფერული გარსებისათვის მიღებულ ერთგვაროვან სისტემათა ზოგადი ამონახსნები ჩაწერილია კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციების საშუალებით.